

## ანდრო გოგოლაძე, თეა წითლანაძე, მურმან პაპაშვილი, თეა ქარჩავა

### კონსტანტინოპოლში მყოფი ფრანგი დიპლომატის უუიეს ცნობები საქართველოს შესახებ

XVI საუკუნეში ახლო აღმოსავლეთში და კავკასიაში მიმდინარე პროცესებს და კერძოდ, ირან-ოსმალეთის ფრონტზე განვითარებულ მოვლენებს ევრო-პული დიპლომატია ფხიზლად ადევნებდა თვალს.<sup>1</sup> ამავე დროს, ბალკანეთზე და ხმელთაშუა ზღვის აუზში ოსმალთა ექსპანსია სერიოზულ შეშფოთებას იწვევდა დასავლეთის მმართველ წრეებში. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ირანის ფაქტორს უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭებოდა ამ საერთო საფრთხის განეიტრალების საქმეში. თუმცა, მიუხედავად არსებული რთული ვითარებისა ევროპელ მმართველთა უმეტესობა ანტიოსმალური კოალიციის შექმნის ნაცვლად, ცალ-ცალკე, საკუთარი პოლიტიკურ-ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად, ცდილობდა ოსმალებთან დიპლომატიური და პოლიტიკური კავშირების დამყარებას. XVI საუკუნის მეორე ნახევარში დაძაბულობამ უფრო იმატა, გაიზარდა მოთხოვნა აღმოსავლურ საქონელზე და ლევანტში მოწინავე პოზიციების დაკავებაც პირველხარისხოვნა საკითხად იქცა.

ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს XVI საუკუნის 20-30-იან წლებში საფრანგეთის მეფე ფრანსუა I-ის მოლაპარაკებები სულთან სულეიმან ბრნუინვალესთან და მათ შორის 1536 წლის 18 თებერვალს, სტამბოლში დადებული ხელშეკრულება „მშვიდობის, მეგობრობის და ვაჭრობის შესახებ“.<sup>2</sup> XVI საუკუნის პირველი ნახევრიდან საფრანგეთმა გააღრმავა ოსმალეთთან

<sup>1</sup> აღნიშნული კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მსარდაჭერით FR 17-86.

<sup>2</sup> ამ ხელშეკრულების შედეგი იყო ის, რომ, 1536 წლიდან, საფრანგეთს მუდმივი წარმომადგენლობა ჰყავდა სტამბოლში. ფრანგი დიპლომატები ოსმალეთის იმპერიის სხვადასხვა ადგილებში მყოფი თავიანთი აგენტების საშუალებით, მუდმივად საქმის კურსში იყვნენ, იმპერიაში მიმდინარე პროცესების შესახებ და სამეფო კარს პერმანენტულად უზავნიდნენ ანალიტიკური სახის კორესპონდენციებს. საფრანგეთის სახელმწიფოს დაინტერესებას აღმოსავლეთის საკითხებით მოწმობს ის ფაქტიც, რომ უკვე XVII საუკუნეში, 1666 წელს გიორგი რობერ გამოსცა ფრანგი დიპლომატების პირად არქივებში და კოლექციებში თავმოყრილი მასალა, რომელიც გაგზავნილი იყო ფრანსუა I-ის და ანრი I-ის მმართველობის პერიოდში. რაც შეეხება ამ მასალის მეცნიერულ დამუშავებას და მის გამოცემას, იგი განახორციელა ე. შარიემ XIX საუკუნეში და ეს მასალა მან გამოსცა ოთხ ტომად (Charrière, *Négociations de la France dans le Levant*; ჩორჩიევი, მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ურთიერთობანი XVI საუკუნის პირველი ნახევრის ფრანგული დიპლომატიის კორესპოდენციის მიხედვით, გვ.116-117).

თანამშრომლობა, რასაც ლევანტში თავისი ვაჭრობის გასაფართოებლად იყენებდა. ამ ხელშეკრულების ერთ-ერთი მთავარი ასპექტი ამავე დროს ის იყო, რომ საფრანგეთისთვის ოსმალეთს სავარაუდო მოკავშირის ფუნქცია უნდა შეესრულებინა ჰაბსბურგებთან დაპირისპირებაში. საფრანგეთის სამეფოსათვის, ევროპაში გავლენის სფეროებისათვის ბრძოლა ჰაბსბურგებთან, გადამწყვეტ ფაზაში XVI საუკუნის პირველი ნახევრიდან შევიდა. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ ცოცხალი იყო ანტიოსმალური კოალიციის შექმნის იდეა, რომელსაც რომის ჰაპები თავიანთი საგარეო პოლიტიკის მთავარ ასპექტად იყენებდნენ ევროპის მონარქებთან ურთიერთობებში, უკვე XVI საუკუნის 20-იანი წლებიდან საფრანგეთის სამეფო კარი დაადგა სულთანთან ურთიერთობების მონესრიგების გზას. საფრანგეთის ევროპული პოლიტიკის წარმატების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი იმ პერიოდში ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე ირან-ოსმალეთის კონფლიქტზე ზეგავლენის მოხდენა იყო. ფრანგული დიპლომატია განსაკუთრებით ფხიზლად ადევნებდა თვალს აღმოსავლეთის ფრონტზე მიმდინარე პროცესებს. საფრანგეთის სამეფო კარს ამფოთებდა ოსმალეთის აღმოსავლური პოლიტიკის მოუწესრიგებლობა, რადგან ეს ხელ-ფეხს უხსნიდა მის მთავარ მტერს ჰაბსბურგებს, აქტიური სამხედრო ოპერაციები ეწარმოებინათ დასავლეთის, კერძოდ, საფრანგეთის საზღვრების მიმართულებით.<sup>1</sup> ამიტომაც XVI საუკუნის 20-იანი წლებიდან, მკვეთრად შეიცვალა საფრანგეთის სამეფო კარის პოლიტიკა ოსმალებთან ურთიერთობაში, რაც პაპის და დანარჩენი ევროპის მმართველთა თვალში საერთო ქრისტიანული პოზიციის ღალატად იქნა მიჩნეული.<sup>2</sup> თუმცა ეს საგარეო ვექტორი

<sup>1</sup> საფრანგეთ-ჰაბსბურგების დაპირისპირება, არა მარტო ევროპაში, არამედ ხმელთაშუაზღვის რეგიონშიც, საკმაოდ მწვავე იყო. ჰაბსბურგები ფლობდნენ სიცილიას და სხვა კუნძულებს. საფრანგეთი განსაკუთრებით შეაშფოთა იმპერატორ კარლ V-ის 1534 წლის ლაშქრობამ ტუნისზე. ჩრდილო აფრიკაში ჰაბსბურგთა გამოჩენა ძალიან გააძნელებდა საზღვაო აკვატორიაში ფრანგთა მიმოსვლას და კავშირებს ოსმალეთის მიმართულებით. ასევე, განსაკუთრებით მწვავედ განიცდიდა საფრანგეთის სამეფო კარი პორტუგალიელების წარმატებებს ახალი საზღვაო გზების მოძიების და ინდოეთის ოკეანეში მათი ახალი სავაჭრო ფაქტორიების შექმნის საკითხში. ამიტომ საფრანგეთი მხარს უჭერდა ოსმალეთის გააქტიურებას წითელი ზღვისა და სპარსეთის ყურისაკენ, რომელიც პორტუგალიელთა წინააღმდეგ იყო მიმართული. მათ ესმოდათ, რომ ინდოეთის ოკეანის აუზში პორტუგალიელთა დამარცხება საფრანგეთის საშუალებლო როლს გაზრდიდა ახლო აღმოსავლეთის ვაჭრობაში (ჩოჩიევი, მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ურთიერთობანი XVI საუკუნის პირველი ნახევრის ფრანგული დიპლომატიის კორესპონდენციის მიხედვით, გვ.120, 123-124).

<sup>2</sup> ამ პოლიტიკის ნათელი მაგალითი იყო, ის რომ 1522 წელს, ოსმალთაგან კუნძულ როდის გარემოცვის დროს, საფრანგეთის მეფემ ყურად არ იღო არა მარტო როდისელი ჯვაროსანი რაინდების დიდი მაგისტრის, არამედ თვით რომის პაპის თხოვნაც.

საფრანგეთის პოლიტიკაში არც შემდგომში, XVI საუკუნის მეორე ნახევარში, შეცვლილა და, განსაკუთრებით, ეს ჩანდა ირან-ოსმალეთის პერმანენტული ომების დროს და დროებითი დაზავების პირობებშიც.

მიმდინარე პროცესების მიმართ ინტერესს ნათლად ასახავს კონსტანტინოპოლში არსებული ევროპული მისიების დიპლომატების რელაციები და ანალიტიკური სახის მოხსენებები, რომლებიც პერმანენტულად ეგზავნებოდათ თავიანთი ქვეყნების მმართველ წრეებს. დიპლომატთა ამ წერილებში კარგად ჩანს არა მარტო ოსმალეთში და ზოგადად აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენების შეფასებები და ანალიზი, არამედ, უშუალოდ ევროპის ქვეყნებს შორის არსებული წინააღმდეგობების ასპექტები.

ჩვენი კვლევის მიზანს<sup>1</sup> წარმოადგენს XVI საუკუნის II ნახევარში, კონსტანტინოპოლის საფრანგეთის მისიაში მოღვაწე ფრანგი დიპლომატის უუიეს წერილების შესწავლა,<sup>2</sup> რომელსაც იგი პერიოდული ანგარიშის სახით უგზავნიდა საფრანგეთის მეფე ანრი III-ს (1574-1589), აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენების შესახებ.<sup>3</sup> უუიეს წერილების ჩვენთვის საინტერესო პერიოდი მოიცავს XVI საუკუნის ბოლო მეოთხედის მოვლენებს. მის წერილებში ასევე ასახულია XVI საუკუნის მეორე ნახევრის ოსმალეთის საგარეო პოლიტიკის ძირული მიმართულებები. ოსმალთა დიპლომატია თავის მხრივ აქტიურ მუშაობას ეწეოდა, რომ ევროპის მონარქებს საერთო სამხედრო-პოლიტიკური დოქტრინა არ შეემუშავებინათ აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესების მიმართ. უუიეს ამ რელაციებში, ასევე, ანალიტიკური სახით წარმოდგენილია კონსტანტინოპოლში მყოფი სხვა ევროპული მისიების დიპლომატიური საქმიანობის ამსახველი ამბები, რომლებიც საფრანგეთის სამეფო კარს აღმოსავლური საგარეო კურსის შემუშავებაში ფასდაუდებელ სამსახურს უწევდა. უუიე თავის წერილებში საკუთარ პოზიციასაც წარმოგვიდგენს, რადგან სამეფო კარს

<sup>1</sup> აღნიშნული სტატია ნაწილია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული ფუნდამენტური კვლევის პროექტისა „საქართველო XVI საუკუნის ევროპულ წყაროებში“, # FR-17-86 (მ. პაპაშვილი, თ. ნითლანაძე, თ. ქარჩავა, ა. გოგოლაძე, ნ. სილაგაძე).

<sup>2</sup> ჩვენს სტატიაში მხოლოდ რამდენიმე წერილის ფრაგმენტი მოგვყავს, რადგან უუიეს ეპისტოლარული მემკვიდრეობა საკმაოდ დიდია და მხოლოდ რამდენიმე წერილით შემოვიფარგლეთ. ჩვენს მიერ მოტანილი ამონარიდები ებოქის გარევეულ მონაკვეთს ეხება, კერძოდ, სამცხესა და დასავლეთ საქართველოში მიმდინარე მოვლენებს.

<sup>3</sup> Charrière, *Négociations de la France dans le Levant*; უუიეს წერილებიდან ამონარიდები ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოყენებული აქვთ სხვა მეცნიერებსაც: ვ. ჩოჩიევს, ე. მამისთვალიშვილს, მ. სვანიძეს. ჩოჩიევი, მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ურთიერთობა; მამისთვალიშვილი, საქართველოს საგარეო პოლიტიკა; საერთაშორისო ურთიერთობანი ახლო აღმოსავლეთში, რედ. მ. სვანიძე.

სჭირდებოდა გამოცდილი და ადგილზე მყოფი დიპლომატის ანალიზი აღმოსავლეთში არსებული ვითარების შესასწავლად. ამ წერილებში მართალია, ფრაგმენტული ცნობებია დაცული ჩვენი ქვეყნის შესახებ, მაგრამ მისი ინფორმაციები, საშუალებას გვაძლევს ნათლად წარმოვიდგინოთ, თუ რა ადგილი ეჭირა საფრანგეთის აღმოსავლურ პოლიტიკაში საქართველოს საკითხს.<sup>1</sup>

ჯერ კიდევ XVI საუკუნის შუა ხანებიდან ფრანგული დიპლომატია დაინტერესებული იყო საქართველოში არსებული ვითარებით, რომელიც ამასის ზავის პირობების შედეგად შეიქმნა. ანრი II-ის (1547-1559) ელჩი დ'არმონი მეფეს რეგულარულად აწვდიდა ინფორმაციებს, აღმოსავლეთში არსებული ვითარების შესახებ. იგი, მეფის დავალებით, სულეიმან I-ის პანაკშიც კი იმყოფებოდა, რომ ეს კორესპონდენციები რეალური ამბების ამსახველი ყოფილიყო.<sup>2</sup> განსაკუთრებული ადგილი ასეთ მოხსენებებში სამცხეს ეჭირა, რადგან,

<sup>1</sup> საფრანგეთის სამეფო კარი ყუველთვის ყურადღებით აკვირდებოდა ირან-ოსმალეთის დაძაბულ ურთიერთობებს, რომელიც მთელი XVI საუკუნის მანძილზე პერმანენტულად ახალი ომების საბაბად იქცეოდა. ეს დამოკიდებულება კი იმით იყო გამოწვეული, რომ საფრანგეთს არ სურდა, ასეთი მძლავრი მოკავშირის ძირითადი ყურადღება აღმოსავლეთის საკითხებზე გადართულიყო, რადგან ეს ხელ-ფეხს უხსნიდა მის მთავარ მონინააღმდეგებს – ჰაბსბურგებს, ვენეციას, უნგრეთს. ეს განსაკუთრებით ნათლად გამოჩნდა 1555 წლის ამასის ზავის დადების პერიოდში, როცა საფრანგეთის სამეფო კარი მიესალმა მშვიდობის დამყარებას. კონსტანტინოპოლიში მყოფმა საფრანგეთის ელჩმა კოდინიაკმა დიდი სამუშაო გასწია ამ სამშვიდობო მოლაპარაკების წარმატებით დასრულებაში. სამაგიეროდ, უნგრეთის მეფის ელჩობა ყველაფერს აკეთებდა, რომ ამ ზავისათვის ხელი შეეშალა. ამასის ზავის დადების დროს, იქ ჩასული იყო იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის ელჩი, რომელიც, თავის მხრივ ითხოვდა, რომ ოსმალეთს ეშუამდგომლა ირანელებთან, რათა იმერეთის სამეფოსთვის სეფიანებს დაებრუნებინათ ქართლის ციხეები (სურამი, ახალდაბა, ალი, ქორთუმი), მაგრამ ეს მისია წარუმატებელი აღმოჩნდა. მიუხედავად, იმისა, რომ სულეიმანმა მიიღო ბაგრატის ელჩი, სულთანმა არ ისურვა ამ პირობებში კვლავ გაემწვავებინა ურთიერთობა და მხოლოდ თავისი რეკომენდაციის სახით გადასცა ქართველი მეფის მოთხოვნა სეფიანთა მხარეს. როგორც მოსალოდნელი იყო, შაპეა შუამდგომლობა არ დააქმაყოფილა. ამ ელჩობის შესახებ ინფორმაციას ევროპული წყაროები გვაძლევენ (*Lettres du Baron de Busbec, ambassadeur de Ferdinand I, roy des Romans, de Hongarie, Paris, 1748: საერთაშორისო ურთიერთობანი ახლო აღმოსავლეთში, რედ. მ. სვანიძე, გვ. 145-149.*)

<sup>2</sup> სწორედ მას აქვს ერთ-ერთი პირველი ცნობა, ერზერუმის ახლოს, 1548 წელს, სულთანთან ქართველი დიდებულების მოსვლისა. ასევე, ის უცნობი ქართველი დიდებულები თვით დ'არმონს შეხვედრიან, ანრი II-სადმი ჰატივისცემა გამოუხატავთ და მცირე საჩუქრებიც გაუცვლიათ. ეს ქართველი დიდებულები, სავარაუდოდ, სამცხის მთავრის ელჩები უნდა ყოფილიყვნენ. მოგვიანებით, 1569-70 წლებში, საფრანგეთის ელჩობა კვლავ საინტერესო მოხსენებებს აწვდიდა მეფეს, ოსმალთა ინტერესებზე, ჩრდილოეთ კავკასიის, ასტრახანის მიმართულებით, რომელიც მიზნად ისახავდა ვოლგა-დონის სამდინარო მაგისტრალის მშენებლობას და ამ გზით ასტრახანის სავაჭრო გზის ხელში

მისი კონტროლი, მოწინააღმდეგებს, გარკვეულ ფორპოსტს უქმნიდა ლაზეთის, დასავლეთ საქართველოს, სომხეთის, ქართლ-კახეთის და შირვანის მიმართულებით.<sup>1</sup> უუიეს რელაციებშიც ჩანს სამცხის მმართველების სტრატეგიული მიზნები, რადგან მათი სამთავრო რეგიონის ორი დიდი მოთამაშის კონფლიქტის სასაზღვრო ზონაში მდებარეობდა. ფრანგი დიპლომატი თავის წერილებში ყურადღებას ამახვილებს სამცხის უფლისწულების მანუჩარის და ყვარყვარეს დიპლომატიურ საქმიანობაზე. იგი აღნიშნავს, რომ მანუჩარი და მისი ძმა მომავალი ომის საწყის ეტაპზე მოლაპარაკებებს ანარმოებდნენ სულთან მურად III-ის კართან, რათა არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, მათვის სასურველი პოლიტიკური სარგებელი მიეღოთ.<sup>2</sup>

რაც შეეხება დასავლეთ საქართველოში არსებულ ვითარებას, უუიეს წერილებშიც ჩანს, რომ, მიუხედავად 1555 წლის ზავის პირობებისა, 1578 წლისათვის ოსმალების გავლენა იმერეთში, გურიასა და სამეგრელოში მყარი არ იყო. კორესპონდენციებში აღნიშნულია, რომ ომის განახლების პირველივე ხანებში, ოსმალებს მოუწიათ დასავლეთ საქართველოს საზღვაო პორტების დაკავება. საზღვაო აკვატორიაში უსაფრთხო მიმოსვლა მათი ექსპანსიური პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი ასპექტი იყო.

ირან-ოსმალეთის ომი 1578 წლის ივლის-აგვისტოში დაიწყო. 20 ივნის წერილში უუიე უკვე აცნობებდა საფრანგეთის მეფეს ოსმალების მიერ ზავის დარღვევის შედეგად, რეგიონში წარმოქმნილი რთული ვითარების შესახებ. აქ საუბარია ომის საწყის ეტაპზე, როცა კონფლიქტი ჯერ კიდევ

ჩაგდებას. ეს კი უნდა მომხდარიყო აღმოსავლეთ კავკასიის, კერძოდ ქართლ-კახეთის და შირვანის დაპყრობის შედეგად (*Charrière, Négociations de la France dans le Levant*, გვ. 57, 80, 82, 89; E. Alberi, *Relazioni degli ambasciatori Veneti al Senato*, III, t. I, 1845, გვ. 330-339; საერთაშორისო ურთიერთობანი ახლო აღმოსავლეთში, რედ. მ. სვანიძე, გვ. 122-123, 158-159).

<sup>1</sup> ოსმალებმა ჯერ კიდევ 1536 წლიდან დაიწყეს ტაო-კლარჯეთის მხარეების ანექსია, როცა მათ აქ სამცხე-საათაბაგოს მიწებზე შექმნეს ართვინის, ოლთისის, კისკიმის და ნარმანის სანჯაყები. ეს იყო საქართველოს ტერიტორიაზე ოსმალური წესების შემოღების პირველი მცდელობა, რომელიც საბოლოოდ ამ მხარეების გაოსმალება-ინკორპორაციას ისახავდა მიზნად.

<sup>2</sup> ეს ნათლად გამოჩნდა 1578 წლის 9 აგვისტოს ჩილდირის ბრძოლაში, სადაც მანუჩარ ათაბაგი ლოდინის პოზიციას იყავებდა და თავისი ლაშქრით მუსტაფა ლალა ფაშას ბანაკში მას შემდეგ გამოცხადდა, როცა დამარცხებულმა ყიზილბაშებმა და მისმა მოკავშირე ქართველებმა ბრძოლის ველი მიატოვეს. მიუხედავად იმისა, რომ ომის პირველ დღეებში სამცხეში შემოჭრილ ოსმალებს ქართველებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს პარტიზანული და გარნიზონული ბრძოლის ტაქტიკით, საბოლოოდ, სამცხის ათაბაგმა ოსმალთა მორჩილება აღიარა. ეს ფაქტი ოსმალთა სარდალს მუსტაფა ლალა ფაშას მეტად ესიამოვნა, რადგან ამ მხარის მმართველთა პოზიციას ოსმალები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ირანელებთან ირანელებთან მომავალი ბრძოლებისთვის (საერთაშორისო ურთიერთობანი ახლო აღმოსავლეთში, რედ. მ. სვანიძე, გვ. 235; შარაშიძე, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 48).

არ იყო გადასული აქტიურ ფაზაში და ფრანგი დიპლომატიც ოპერატიულად აწვდიდა ცნობებს სამეფო კარს: „სპარსეთის საზღვრებიდან რამოდენიმე შიკრიკი ჩამოვიდა. ბოლო დღეებში ხმა გავრცელდა, რომ სპარსელებმა, შეიტყვეს რა, რომ სენიორთან მშვიდობის დამყარებას აპირებდა, მოკლეს თავიანთი ახალი მეფე აპმადი [აგმატი], რომელმაც მანამდე თავისი ძმა, ისმაილი ჩაანაცვლა, და ტახტზე მისი ვაჟი დასვეს.<sup>1</sup> ამბობდნენ იმასაც, რომ ისინი მრავალრიცხოვანი ჯარით ვანისკენ გაემართნენ. აქ მოხდა შეტაკება, რომელშიც თურქებმა დიდი დანაკლისი განიცადეს, მრავალი მათგანი დაიღუპა, ზოგი ტყვედ ჩავარდა. ხმების თანახმად, მუსტაფა-ფაშა თავისი ბანაკით სასწრაფოდ ჩამოვიდა ერზერუმში ვანის ფაშას დასახმარებლად მისი დაუინებული თხოვნით. ამ ახალი ამბების შემდეგ სასახლეში გადაწყდა, რომ დიდი სულთანი თავად უნდა გაემგზავროს იქ: ამის შესახებ, თქვენო უდიდებულესობავ, შევიტყობთ იმ სამზადისის მიხედვით, რომელიც აქ მომავალში იქნება შემდგომი სიახლეების შესაბამისად. ამბობენ, ასევე, რომ თათრები [ყირიმელი თათრები], რომელთაც ბანაკთან შესაერთებლად ქართველების მხარეს ნასვლა ჰქონდათ ნაპრძანები, ამ ქართველებმა და რამდენიმე სპარსელმა, რომლებიც მათ გამოვლას ელოდნენ, დაამარცხეს“.<sup>2</sup>

<sup>1</sup> 1576 წელს გარდაიცვალა შაჰ-თამაზი და ტახტი დაიკავა მისმა ვაჟმა ისმაილ II-ემ, რომელმაც მხოლოდ ერთი წელი იმეფა და მისი სისხლიანი მმართველობის გამო მოკლეს შეთქმულებმა. რაც შეეხება წერილში ნახსენებ აპმადს (აგმატი) სავარაუდოდ, ეს უნდა ყოფილიყო თამაზის ერთგული ვაჟი ჰეიდარ-მირზა, რომელსაც მამის სიკვდილის შემდეგ სურდა მიელო ტახტი, მაგრამ ისმაილის მომხრეებმა მოკლეს. უუიეს ამ ცნობაში, სადაც ისმაილის ჩანაცვლებაზეა საუბარი, უნდა ვივარაუდოთ ის ფაქტი, რომ შაჰ-თამაზი ჰეიდარს თავის მემკვიდრედ ამზადებდა, მიუხედავად იმისა, რომ წლოვანებით ისმაილზე უმცროსი იყო. რაც შეეხება მის ვაჟს, რომელზეც წერილშია საუბარი, ის სავარაუდო უნდა იყოს მისი ძმა მუჰამად ხუდაბენდე, რომელიც ისმაილის სიკვდილის შემდეგ ავიდა ტახტზე. ეს ხუდაბენდე ქართულ წყაროებში „შახუდაბანდად“ იწოდება. ისმაილ II-ემ გაათავისუფლა ტყვეობიდან სიმონ I, რომელიც ხუდაბენდემ დააბრუნა ქართლში, ოსმალთა წინააღმდეგ საბრძოლველად. ისმაილის სიკვდილის შესახებ ცნობას გვაძლევს „მესხური მატიანეც“, რომელიც ამ ამბავს 1577 წლის 17 დეკემბრით ათარიღებსა, ხოლო მისი სიკვდილის დასტურს ელჩის პირით – 1577 წლის 28 დეკემბრით (მარაშიძე, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 46; მამისთვალიშვილი, სეფიანთა სახელმწიფოში მიმდინარე პოლიტიკური ბრძოლა და ქართველები, გვ. 107-117).

<sup>2</sup> Charrière, *Négociations de la France dans le Levant*, გვ. 746-749. ყირიმელი თათრების დამარცხებაზე უფრო მოგვიანებით (1580 წელს) მოგვითხრობს ისქანდერ მუშშიც, რომელიც აღნიშნავს, რომ დარუბანდის გზით შემოსული ადილ-გირეი ხანის ლაშქარი შირვანში დაამარცხეს სპარსელებმა, ხოლო თვით სარდალი ტყვედ იგდეს და შაჰს გაუგზავნეს. სპარსელი მემატიანე ამ ამბების თხრობისას აღნიშნავს სიმონ მეფის და ალექსანდრე II-ის დამოკიდებულებას მიმდინარე მოვლენებისადმი (ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 32-35).

ეს ცნობა ფრანგი დიპლომატის რელაციებში, სავარაუდოდ, ეხება დარუბანდის გზით ყირიმელი თათრების მცდელობას, შირვანის და კახეთის მიმართულებით ახალი ფრონტი გაეხსნათ ირანელებისათვის. ოსმალური წყაროებიც მიუთითებენ, რომ როდესაც მუსტაფა ლალა ფაშა ერზერუმთან ჯარებს აგროვებდა, სულთანმა თხოვნა გაუგზავნა თავის ვასალ ყირიმის ხანს მუჰამედ გირეის, რომ დახმარება გაეწია ამ ოში. ამავე დროს დაღესტანის, შამხალის, ავარიის მმართველებს გადასცეს ბრძანება, რომ შეეტიათ კასპიის ზღვის მხრიდან შირვანში მყოფი ყიზილბაშებისათვის. სწორედ ამ ამბებზე უნდა მიუთითებდეს უუიე ამ წერილში, როცა საუბრობს თათრების გამოჩენაზე და ქართველების და სპარსელების ერთობლივი ძალებით მათ დამარცხებაზე. ასევე უუიეს ცნობას თურქების დამარცხების შესახებ ვანის მხარეში ადასტურებს „მესხური მატიანეც“,<sup>1</sup> რომელიც აღნიშნავს, რომ 1578 წლის თებერვალში ირანელთა სარდალმა ყარა-ხანმა მცირე ჯარით მოახერხა ოსმალების დამარცხება: „ამასობაში ოთმანიანი რვაათასი კაცით ფეხერვალს კვ (26 რიცხვი) ოთხშაბათს დღესა დაესხნებს ყარახანს [...] მობრუნდა ყარახან ექუსასი კაცი ახლდა, დაესხა თავსა, ამოსნყუიდნა ურუმნი, გააქცივნა [...] და აივსნეს საქონლითა და იარაღითა. მობრუნდა ბატონი მანუჩარ და ანყუერს ჩამოვიდა“.<sup>2</sup>

„ურუმთა აშლას“ „მესხური მატიანე“ ჯერ კიდევ, 1577 წლის 7 ნოემბრის ამბებში მოგვითხრობს, როცა სამცხეში მიმდინარეობდა ბრძოლა დაპირისპირებულ ფეოდალთა პარტიებს შორის, რაშიც ჩაბმული იყვნენ დედისიმედი და მისი შვილები მანუჩარი და ყვარყვარე და ასევე დედისიმედის ძმის შვილი ერეკლე მუხრანბატონი. „ბატონი ყ რყ რე და ბატონი მანუჩარ ახალციხეს წამოვიდა და ბატონი დედისიმედი თმოგუს დადგა. თმოგუის ციხეს

<sup>1</sup> ამ პერიოდის მოვლენებზე საინტერესო ინფორმაციები გააჩნიათ სხვა ქართველ მემატიანეებს: „მეცნიერ კაცთა კომისიას“, ვახუშტი ბატონიშვილს და ფარსადან გორგიჯანიძეს. მაგრამ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს „მესხური მატიანე“, რომლის ავტორი ამ ამბების თანამედროვე იყო და უშუალოდ სამცხიდან აკვირდებიდა მოვლენების მიმდინარეობას. „მესხური მატიანე“ მოგვითხრობს ამბებს 1560 წლიდან 1587 წლის ჩათვლით. ამ ქრონიკის ავტორი უცნობია და მისი ტექსტი ჩართულია „დავითნის“ ხელნაწერში და ამიტომ მას ხშირად უწოდებენ „მესხური დავითნის ქრონიკას“. ჩვენ ამ ქრონიკას აღნიშნავთ „მესხურ მატიანედ“. აღსანიშნავია, რომ ეს მატიანე წარმოადგენდა დღიურ ქრონიკას და როგორც ე. თაყაიშვილი აღნიშნავდა, მოვლენები ჩანერილია უშუალოდ მათი მსვლელობის დროს და მიანიშნებს მისი წყაროს სანდოობას. თ. უორდანია საერთოდ ვარაუდობდა, რომ მისი უცნობი ავტორი ამ თხზულების ერთ-ერთი მთავარი გმირი, ათაბაგ ქაიხოსრო II ჯაყულის ცოლი დედისიმედია. ამ აზრს ნანილობრივ ეთანხმება ქრ. შარაშიძეც (შარაშიძე, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 39, 123-132).

<sup>2</sup> შარაშიძე, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 47.

რაც დახირა უნდოდა, მიატანინა, გააბარაქიანა და თვალშეწიერთან<sup>1</sup> ელჩი გაგზავნა, ციხეების შოვნა შესთუალა და ურუმთა აშლა აცნობა და ურუმთ საჩქარო წმა დაუვარდა. პატრონი დედისიმედი ახალციხეს შვილებთან ერთად მოვიდა. პატრონი მანუჩარ და პატრონი ერეკლე ლაშქარი შეიყარეს და წავიდეს, ურუმთ პირს მიუდგეს. პატრონი ყრყრე ცოტა უგუნებუდ იყო; ის ვეღარ წავიდა".<sup>2</sup>

მოგვიანებით, 1579 წლის 3 და 15 ივნისით და 4 ივლისით დათარიღებულ წერილებში, უუიე მოგვითხრობს სამცხეში დატრიალებულ მოვლენებზე: „დღეს ჩამოვიდა ქართველი ელჩი, ქვრივი დედოფლის გამოგზავნილი. ეს უკანასკნელი თავისი ვაჟის ნაცვლად მართავს დიდ პროვინციას, რომლის პატრონიც მისი შვილია. როგორც ჩანს, ელჩის ჩამოსვლის მიზანია მშვიდობის ან დროებითი ზავის მიღწევა სენიორსა და სუფის შორის.<sup>3</sup> ელჩის ჩამოსაყვანად შკოდერში გაგზავნეს ორი გალერა, რაც უაღრესად დიდი პატივია და ამ ქვეყნის არც ერთ ელჩს აქამდე ასეთი პატივი არ ღირსებია. (3 ივნისი).

„ქალაქში სხვადასხვა ხმები დადის დღეს ჩამოსული ქართველების თაობაზე. ამბობენ, რომ ამ ქვრივი დედოფლის ვაჟი ჩამოვიდა, რათა იმ დახმარების სანაცვლოდ, რომელიც გასულ წელს დედოფალმა შირვანში მიმავალ მუსტაფა ფაშას ბანაკს გაუწია, ითხოვოს, რომ შავი ზღვისკენ გაგზავნილმა

<sup>1</sup> თვალშეწიერი, თვალშეწენიერ-ივანე, ქაიხოსრო ათაბაგის და დედისიმედის ვაჟი. 1573 წელს ათაბაგის ოჯახმა ძმებთან ერთად გაგზავნა ყაზვინს. ირანში მყოფი მნიშვნელოვან ინფორმაციებს აწვდიდა საკუთარ ოჯახს იქ მიმდინარე პროცესების შესახებ. როგორც ჩანს, ეს შეუტყვეს, არ აპატიეს და ალამუთის ციხეში გამოკეტეს. თუმცა, „მესხური მატიანის“ ცნობით, 1583 წელს თვალშეწენიერი გაათავისუფლეს და შემდგომში იგი შაჰ აბას I-ის სამსახურში ჩანს, სადაც თავი გამოიჩინა უზბეკების წინააღმდეგ ბრძოლაში. ქრ. შარაშიძე ვარაუდობს, რომ თვალშეწენიერ-ივანე გარდაიცვალა 1616 წელს (შარაშიძე, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 142-143).

<sup>2</sup> „ახალი ქართლის ცხოვრების“ პირველ ტექსტში, ოსმალების გამოსვლა მოვლედ არის მოთხოვობილი. უფრო მიმდინარე მოვლენების კონსტატაციაა – საუბარია რომ ოსმალებმა „თავრეზი, ერევანი, განჯა და ყარაბალი და ვიდრე სულთანიამდე დაიპყრეს ყოველივე ადგილი ადარბაგანისა“. რაც შეეხება სამცხეში დატრიალებულ ამბებს ამ მოვლენების გარშემო, აღნიშნულია, რომ მანუჩარმა მედგრად იბრძოლა ოსმალების წინააღმდეგ, მაგრამ ვერას გახდა და გადმოვიდა ქართლს, სიმონ მეფის ქვეყანაში (ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, გვ. 371-372).

<sup>3</sup> ფრანგი დიპლომატი წერილებში სენიორად მოიხსენიებს ოსმალთა სულტანს, ხოლო სუფის სახელით ირანის შაჰს. სავარაუდოდ, შაჰის სუფად მოხსენიება მათი საგვარულოს წარმომავლობის სეფიანების ფრანგული ტრანსკრიპციაა. რაც შეეხება სულტანის სენიორად ხსენებას, ეს ნათლად ჩანს მის სხვა, 1578 წლის 20 აგვისტოს წერილში, სადაც სენიორთან ერთად ნახსენებია პირველი ფაშა, რომელიც, როგორც სხვა წერილებიდან ჩანს, ოსმალთა დიდვეზირია.

ხალხმა მის მიწებზე არ გაიაროს და არ დააზიანოს მისი [სამფლობელო]. მისი მიწები სწორედ იმ ადგილის მეზობლად მდებარეობს, სადაც ისინი უნდა დაბანაკდნენ. სხვები ამბობენ, რომ ამ ორ ქართველ დიდებულს, რომლებმაც ისლამი მიიღეს და დიდი სენიორის სამსახურში ჩასადგომად ჩამოვიდნენ, სურთ აჩვენონ მას უფრო დაუცველი გზები და გადასასვლელები ამ ქვეყნის რომელიმე ნაწილის ადვილად დასაპყრობად. არიან ისეთებიც, რომლებიც სულ სხვაგვარად ლაპარაკობენ. ასე, რომ ჯერ კიდევ კარგად არ ვიცით, ვინ არის ეს ხალხი და რისთვის ჩამოვიდნენ აქ. მაგრამ ასეა თუ ისე, ჩამოსვლისას მათ ძალიან დიდი პატივი მიაგეს (15 ივნისი).

„ასევე ბოლოს ჩამოსული ორი ქართველი, რომლებიც, როგორც შემდგომში შევიტყვეთ, ძმები არიან. ისინი გასულ წელს ეახლნენ მუსტაფა ფაშას ბანაკში, როცა ის ერზრუმიდან შირვანში მიდიოდა და დიდი დახმარება გაუწიეს მის ბანაკს. ძმებს შორის უმცროსი, რომელიც ოცდათოხმეტი ან ოცდათხუთმეტი წლის უნდა იყოს, ისევ ხსენებულ მუსტაფასთან არის. როგორც ჩანს, მან იმედი მისცა ფაშას, რომ თურქი გახდებოდა, რაც გააკეთა კიდეც ახლახანს. მას დაუყონებლივ მიანიჭეს ფაშას ტიტული და კუთვნილი მიწების ბეგლარბეიდ გამოაცხადეს. სწორედ იქ უნდათ დიდი კარიბჭის აღმართვა, რომელიც უმნიშვნელოვანესი იქნება სპარსეთის საზღვართან. მის უფროს ძმასაც შესთავაზეს მუსლიმი გამხდარიყო, მაგრამ მან არ ინდომა. სასახლეში ამბობენ, რომ მას აქ დატოვებენ, თუ არ მოინდომებს აღიაროს თავი სანჯაყად და დიდი სენიორის ქვეშევრდომად. ამ ორმა ძმამ ხელზე მთხვევისას რამდენიმე საჩუქარი მიართვა სენიორს“ (4 ივლისი).

ამ წერილებში საუბარია სამცხის მთავარ მანუჩარ II-ის გამუსლიმების ამბებზე. მანუჩარმა, როგორც ვიცით, სახელად მუსტაფა დაირქვა და ჩილდირის ფაშა გახდა. რაც შეეხება წერილში დასახელებულ მის ძმას, ეს უნდა იყოს ყვარყვარე, რომელმაც ისლამი არ მიიღო და სულთანის კარმა მხოლოდ ოლთისის გამგებლობა უბოძა. საინტერესოა უუიეს ცნობა ჩილდირის ბეგლარბეგად მანუჩარის დანიშვნის თაობაზე, რაც მ. სვანიძის აზრით, ზუსტად ათარილებს ამ საბეგლარბეგოს დაარსების ისტორიას 1579 წ. 25 ივნისით.<sup>1</sup> „მესხური მატიანეც“ აღნიშნავს 1579 წლის აპრილის თვეში მანუჩარის წასვლას კონსტანტინოპოლში ძმასთან – ყვარყვარესთან ერთად, იქ მის გამაპმადიანებას და ნოემბრის თვეში სამცხეში მის დაპრუნებას ფაშას ტიტულით. რაც შეეხება წერილში მოხსენიებულ სანჯაყს, ეს სწორედ ოსმალთა ექსპანსიის

<sup>1</sup> შარიესთან მითითებულია 18 ივნისი, Charrière, *Négociations de la France dans le Levant*, გვ. 807.

გამოხატულება იყო, რადგან სამცხის ქვეყანაში ოსმალთა იმპერია საკუთარი ადმინისტრაციული სისტემის დანერგვას ცდილობდა, რითაც სამთავროს სრულ ინკორპორაციას ახდენდა. მანუჩარსაც არა ათაბაგად, არამედ ფაშად თვლიდნენ, რაც წერილშიცაა დადასტურებული. უუიქს ერთ-ერთი წერილი-დან ჩანს, რომ სამცხის მთავრის ქაიხოსრო II-ის ქვრივს დედისიმედს სამთავროს ხელისუფლება ჯერ კიდევ ხელში ეჭირა, მას შემდეგ, რაც მან დაამარცხა ფეოდალური ოპოზიცია.<sup>1</sup> 1578 წლის ივლისის შუა რიცხვებში, როცა ოსმალთა ჯარი არტაანს მივიდა, ამ ციხის სიახლოვეს არსებული ციხეები, ვილაიეთები და ოქროს ციხე დაკავებული პქნია ქართველთა დედოფალ დედისიმედს, რომელიც ქმრის პოლიტიკას აგრძელებდა, კერძოდ, ორმაგ თამაშს ეწეოდა ირან-ოსმალეთის კონფრონტაციაში.<sup>2</sup> განსხვავებულ პოზიციაზე იყო მისი ვაჟი მანუჩარი, რომელიც ოსმალთა დახმარებით იმედოვნებდა მთელი სამცხის ხელში ჩაგდებას. როგორც ფრანგი დიპლომატი იუნიება, დედოფალსაც გარკვეული დახმარება გაუწევია ოსმალებისთვის, მაგრამ როგორც წერილიდან ჩანს, ამავე დროს ითხოვდა სამთავროს უსაფრთხოებას. თუმცა, როგორც ვიცით, ოსმალებმა არათუ მანუჩარის, არამედ არც ერთი მხარის პოზიციები არ გაითვალისწინეს და მისი შვილების დარად დედისიმედს მხოლოდ რამდენიმე სოფელი მისცეს იქტას წესით.<sup>3</sup> მსგავსი ამბავი მოთხრობილი აქვს „მესხური მატიანის“ ავტორსაც, თუ როგორ დაიკავეს ოსმალებმა არტაანის, ხერთვისის და სხვა მხარეების ციხეები, ხოლო ხახულის მხარე სანჯაყად

<sup>1</sup> „მესხური მატიანეც“ ქრონოლოგიურად ზუსტად გადმოგვცემს სამცხეში გამართული ბრძოლების პერიპეტიებს, რომელიც 1576 წლიდან 1578 წლის მარტამდე გრძელდებოდა და სერიოზულად დააზიანა სამთავროს თავდაცვითი პოტენციალი. ეს ბრძოლა ათაბაგების სახლსა და შალიკაშვილების მეთაურობით შექმნილ სამცხის ფეოდალთა კოალიციას შორის მიმდინარეობდა.

<sup>2</sup> დედისიმედის მეულლე ქაიხოსრო II ჯაყელი, ასევე ორჭოფულ პოლიტიკას ატარებდა. ჯერ კიდევ, 1545 წლის შემდეგ, როცა ოსმალებმა სამთავროს მმართველობა დაუმტკიცეს, მოვინანებით, ირან-ოსმალეთის ახალი ომის (1548-49 წე.) დროს, ირანელების მხარე დაჭირა, რათა თავიდან აეცილებინა სამთავროს ინკორპორაციის საფრთხე. საერთოდ, დედისიმედს ძალიან აძაგებს ბერი ეგნატაშვილი, რომელიც მას უჭკუო, უმეცარ და ღვთის უშიშარ ქალს უწოდებს, რადგან თავისი მზაკვრული საჯციელით არა მარტო სამცხის დიდებულები, არამედ, ქართული სამეფო-სამთავროების მმართველი წრებიც გადაიკიდა. მემატიანის ასეთი შეფასება, გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ დედისიმედმა შალიკაშვილების დარბევით, შაპ-თამაზის რისხვა, ირანელების სამცხეში ლაშქრობა და ქვეყნის აოხრება გამოიწვია (ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, გვ. 370-371).

<sup>3</sup> კონსტანტინოპოლიში მყოფი ვენეციის ელჩის ცნობით, მანუჩარი ოსმალთაგან 40 სოფელს და 40 ქალაქს ითხოვდა. მ. სვანიძის აზრით, სავარაუდოდ, ეს ადგილები თვით სამცხის სამთავროში მდებარეობდა (საერთაშორისო ურთიერთობანი ახლო აღმოსავლეთში, რედ. მ. სვანიძე, გვ. 252-253).

აქციეს. უუიეს ცნობას კონსტანტინოპოლში მანუჩარის და ყვარყვარეს ჩასვლის შესახებ „მესხური მატიანე“ და ქალაქში მყოფი აგსტრიელი დიპლომატი სოლომონ შვეიგერიც ადასტურებს, რომელიც აღნიშნავს, რომ სამცხის უფლისწულები აქ დიდი ამაღლით, 150 კაცის თანხლებით ჩამოსულან და მათ დიდი პატივით დახვედრიან.<sup>1</sup>

რაც შეხება წერილში მოხსენიებული „დიდი კარიბჭის აღმართვის“ საკითხს, ეს ეხება ოსმალების სურვილს, აღედგინათ 1555 წლის ზავის პირობების შედეგად დანგრეული ყარსის ციხე-სიმაგრე. კავკასიაში თავიანთი ექსპანსიის განსახორციელებლად ოსმალები უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ ყარსის ციხის აღდგენას: ეს ციხე უნდა ყოფილიყო ფორპოსტი კავკასიის სილრმეში შესული ჯარების სურსათ-სანოვაგით და სამხედრო ტექნიკით მომარაგებისათვის. ეს ფაქტი ასევე ნათლად ჩანს უუიეს ადრინდელ, 1578 წლის 20 აგვისტოს წერილში. დიპლომატი ჩილდირის ომის ამბების შემდგომ მოვლენებზე მოგვითხრობს, სადაც წერს, რომ: „სპარსეთის საზღვრებიდან ხშირად ჩამოდიან მაცნები. მათ იმდენი ერთმანეთის საწინააღმდეგო ამბავი ჩამოაქვთ იქედან, რომ უკვე აღარ ვიცით, რომელს დავუჯეროთ. ერთნი ამბობენ, რომ იქ საქმეები კარგად მიდის ამ სენიორისთვის, რომ მუსტაფა ფაშა შევიდა ქვეყანაში და უძველეს, ნანგრევებად ქცეულ ქალაქ ყარსში ციხე-სიმაგრე ააშენა, რომლის აღდგენაც ამ სენიორს სურდა. ქართველებმა გაუგზავნეს მას ელჩები და ხუთი ათასი კაცი ამ ციხე-სიმაგრის აგებაში დასახმარებლად.“ ამ ქართველებში უნდა მოვიაზროთ სამცხის ათაბაგ მანუჩარის მიერ გაგზავნილი ხალხი, რომლებიც ჩილდირთან გამარჯვების შემდეგ ოსმალთა ბანაკში გამოცხადდნენ. იბრაჰიმ ფეჩევის ცნობით, ჩილდირის ბრძოლის დროს მანუჩარ ათაბაგი ექვსი ათასი მეომრით მთის კალთიდან ადევნებდა ბრძოლას თვალს და მხოლოდ მას შემდეგ გამოცხადდა ლალა ფაშას ბანაკში, როცა დაინახა, თუ რა ბედი ეწია ირანელთა სარდალ თოქ-მაქებანს. ყარსის ციხის აგებას ოსმალები ომის პირველი ეტაპის დამთავრების შემდეგ, 1579 წლის ზაფხულში შეუდგნენ და უუიეს 1578 წლის 20 აგვისტოს წერილში გადმოცემული ამბავი ჩილდირის ბრძოლის შემდგომი მოვლენების ასახვა უნდა იყოს და, სავარაუდოდ, იბრაჰიმ ფეჩევის ცნობის არაპირდაპირი დადასტურებაც.<sup>2</sup> ყარსის ციხე-სიმაგრის აგების საჭიროებაზე და მისი

<sup>1</sup> სოლომონ შვეიგერსა და ყვარყვარეს შორის ახლო ურთიერთობაც დამყარებულა და მათ საჩუქრებიც გაუცვლიათ. შვეიგერს გერმანიაში თან წაულია ქართველი ბერის ოსების ნაჩუქარი ნუსხა-ხუცურის ანბანის ნიმუში, რომელიც მან მოგვიანებით, 1609 წელს თავის წიგნში გამოაქვეყნა.

<sup>2</sup> ვ. ჩილდირის აზრით, წერილში მოხსენიებული ქართველი ელჩები, სავარაუდოდ, იყვნენ შავშეთისა და ბასიანის გამაჰმადიანებული ფეოდალები. ე. მამისთვალიშვილის აზრით კი ისინი შეიძლება ყოფილიყვნენ იმერეთის მეფის მიერ გაგზავნილი ხალხი.

ხელახლა აშენების ამბებზე უუიე 1579 წლის წერილებშიც წერს (1579 წლის 7 და 19 მაისის, 3 და 18 ივნისი). საინტერესოა, რომ ამ წერილებში ყარსის ციხე-სიმაგრის ხელახლა აგების მნიშვნელობაზე საუბრისას, უუიე აღნიშნავს დასავლეთ საქართველოს პორტების – ფაზისის, სოხუმის და ბათუმის როლს მიმდინარე ომის დროს არმიების საბრძოლო იარაღით და ფურაჟით მომარა-გების საქმეში. ფრანგი დიპლომატი განსაკუთრებით ხაზს უსვამს სამეგრე-ლოში არსებული ფოთის ციხე-სიმაგრის ხელახლა აგების ამბებს, სადაც ამ ციხის (ზოგჯერ უუიე მას ფაზისის პორტს ან ციხეს უნოდებს, ასევე მდინარე რიონს ფაზისის ან ფასოს სახელით მოიხსენიებს) დასაცავად საკმაოდ დიდი გარნიზონი ჰყავდათ. თუმცა, როგორც უუიე 1579 წლის 3 აგვისტოს წერილ-ში იტყობინება, ოსმალებს აქ მშვიდად ყოფნის საშუალებას ადგილობრივი მთავრები არ აძლევდნენ: „რაც შეეხება კაპიტან უჩიალის,<sup>1</sup> ამბობენ, რომ მან მიაღწია მდინარე ფაზისს (ფასოს) სამეგრელოში, სადაც მცირე შეტაკებები ჰქონდა რამდენიმე ქვეყანასთან, რომელთა რიცხვში ქართველებიც იყვნენ, რომლებიც მათზე თავდასასხმელად იყვნენ მოსულები. ამის შემდეგ კაპიტანმა დაიწყო ციხე-სიმაგრის აგება, ის თითქმის დამთავრებულია, და კიდევ ერთის აშენებას აპირებს იქვე ახლოს“.<sup>2</sup> ოსმალებმა დასავლეთ საქართველოს

დონ ხუან სპარსელის ცნობებით კი იმ დროს ოსმალების ჯარში იმყოფებოდნენ გუ-რიის მთავარი და მისი ვაჟი. ყარსის ციხის სრულად აშენებას 58 დღე დასჭირდა და მის მშენებლობაზე მობილიზებული იყო 50 000 მუშა და ათასობით ჯარისკაცი. გარდა ამისა, მანუჩარის ამ საქციელზე სხვა წყაროებიც მიუთითებენ. ოსმალო ისტორიკოსს მუსტაფა სელანიქს და ევროპელ ავტორებს დონ ხუან სპარსელს და ტომაზო მინა-დოის თავიანთ თხზულებებში ეს ამბავი ფაქტიურად იდენტურად აქვთ გამოცემული.

<sup>1</sup> ამ პიროვნებაზე ცნობა აქვს კრისტოპალ დე სალასარის თავის წერილში ფელიპე II-სადმი. ამ წერილში იგი დაახლოებით იმეორებს იმ ინფორმაციას, რომელსაც უუიე გვანვდის ჩვენ 1579 წლის 3 აგვისტოს წერილში. კერძოდ, საუბარია ოსმალების მცდე-ლობაზე, რომ მდინარე ფაზისთან აეგოთ სიმაგრეები. თუმცა უუიეს ინფორმაციით ლურიალიმ თავი ვერ გაართვა ამოცანას (ტაბაღუა, დოკუმენტები საქართველოს ის-ტორიისათვის, გვ. 104, 320). ი. ტაბაღუა ამ კაპიტანს, „ლურიალით“, მოიხსენიებს, მინადოი მას უნოდებს „ალი უჩიალის“, დასავლეთში ცნობილია როგორც ოჩიალი. იგი იყო ცნობილი საზღვაო კაპიტანი ეულდი ალი (ზოგ წყაროში იგი ადმირალადაც მოიხ-სენიება) და გააგზავნეს სწორედ ამ ციხის ასაგებად, რათა უზრუნველეყო ოსმალთა მოკავშირე თათრების გადმოსვლა ყირიმიდან.

<sup>2</sup> Charrière, *Négociations de la France dans le Levant*, გვ. 808-814. მსგავსი ცნობა სამეგრელოში ოსმალების წინააღმდეგ ადგილობრივი მოსახლეობის აჯანყების შესახებ გადმოცემული აქვს უნგრელ დიპლომატს, რომელიც აღნიშნავს, რომ როცა მოსახლეობას გაუგია ოსმალების განზრახვის შესახებ, რომელიც ციხის აღდგენას ეხებოდა, დაუნგრევია ძველი ციხის ნაშთები და საშენი მასალა ზღვაში გადაუყრია (ტარდი, საქართველო-უნგრეთის ურთიერთობა XVI საუკუნეში, გვ. 134-135; საერთაშორისო ურთიერთობანი ახლო აღმოსავლეთში, რედ. მ. სვანიძე, გვ. 264).

პორტების დაკავების შემდეგ ქუთაისის დაპყრობაც სცადეს, რათა ლიხის გზით ქართლში შემოსულიყვნენ, მაგრამ იმერეთის მეფემ (გიორგი II) ისინი დაამარცხა, რომელიც ფრანგ დიპლომატს თავის ერთ-ერთ რელაციაში აქვს აღნიშნული. უუიეს სხვა წერილებში ასევე, საინტერესო ცნობები აქვს ოსმალთა ექსპანსიაზე კავკასიაში, კერძოდ, ქართლის, კახეთის, შირვანის და სამხრეთ აზერბაიჯანის მიმართულებით. მნიშვნელოვანია მისი ცნობები სიმონ I-ის საპრძოლო მოქმედებების შესახებ, რომლებმაც სერიოზული პრობლემები შეუქმნა მძლავრ ოსმალთა იმპერიას კავკასიის რეგიონში.

უუიეს 1578 წლის 2 ნოემბრის წერილიც კარგად ასახავს კავკასიაში მიმდინარე მოვლენების ისტორიულ სინამდვილეს. მიუხედავად იმისა, რომ ოსმალებმა დაამყარეს კონტროლი ქართლ-კახეთზე და შირვანზე, მათი მდგომარეობა არ იყო მტკიცე. ეს ვითარება კიდევ უფრო გართულდა მას შემდეგ, რაც სიმონ I გაათავისუფლეს და სამშობლოში დაბრუნებული მეფე აქტიურად შეუდგა ოსმალების წინააღმდეგ მოქმედებას.<sup>1</sup>

### „კონსტანტინოპოლი, 1578 წლის 2 ნოემბერი

თქვენო უდიდებულესობავ, როგორც გავიგეთ, ორი შიკრიკი გაიგზავნა ანატოლიის ბეგლარებისთან, ასევე ალეპოსა და დამასკოს ფაშებთან, რათა ისინი სასწრაფოდ გაემგზავრონ მუსტაფა-ფაშასთან, რომელიც, როგორც ამბობენ, ჩაკეტილია შირვანში, სადაც ის კარგა ხნის წინ შევიდა. ფაშა აპირებდა ქალაქის საბოლოო დაპყრობას და იქ გამოზამთრებას იმ პირობების იმედით, რაც რამდენიმე ქართველმა დიდებულმა შეუქმნა. ეს უკანასკნელნი ეახლნენ ფაშას, მიართვეს სანოვაგე და აღუთქვეს ყველანაირი დახმარება, რასაც კი შეძლებდნენ. მაგრამ ვერ აიტანეს რა თურქების თავსედობა, რომელთაც მოინდომეს მათი გაძარცვა და დახოცვა, როგორც კი მათ ქვეყანაში შევიდნენ, ქართველები განუდგნენ თურქებს, შეებრძოლენ და უამრავი დახოცეს კიდეც. ვინც გადარჩა, სპარსელებსა და ქართველებს შუა აღმოჩნდა ჩაკეტილი. ასე, რომ დიდი გაუგებრობაა ამ მუსტაფას თაობაზე. ამბობენ, რომ ის ძალიან მჭიდრო ალყამია მოქცეული და სურსათის ნაკლებობას განიცდის. ხსენებული ბატონის ცნობით, მან სარწმუნო წყაროებიდან შეიტყო: მუსტაფა ფაშას ერთი-ერთი ერთგული თურქისთვის უთქვამს, რომ უკვე დაღუპულად თვლიდა თავსაც და მთელ ბანაკსაც. ამბობენ ასევე, რომ კაიროს ფაშასთანაც გააგზავნეს შირიკი, ზოგის აზრით, იმ მიზნით, რომ ის ჩამოვიდეს ანატოლიაში და მიხედოს

<sup>1</sup> წითლანაძე, XVI საუკუნის მეორე ნახევრის ფრანგული წყაროები საქართველოს შესახებ.

იქაურობას ბეგლარბეგის არყოფნის მანძილზე, სხვათა მოსაზრებით კი – მისი შირვანში წარგზავნის მიზნით. შიკრიკების დაგზავნა მოწმობს, რომ საქმეები ამ მხარეში არც ისე კარგად მიდის ამ ბატონებისთვის, როგორც ამას აქ ჩამოსული ელჩები გვატყობინებენ. ახლა უკვე სავარაუდოა, რომ უსაფუძვლო არ უნდა იყო ის ჭორი, რომელიც ქართველებთან გამანადგურებელი შეტაკების შემდეგ გავრცელდა და რომელზეც არ ლაპარაკობენ, თუმცა, ზოგიერთები ბედავენ და საიდუმლოდ აცხადებენ, რომ ამ ბრძოლაში მუსტაფა მოკლეს<sup>1</sup>.

უუიეს შემდგომი წერილი, რომელიც თარიღდება 17 ნოემბრით, ეყრდნობა იმ ინფორმატორების ცნობებს, რომლებსაც ის იღებდა ოსმალეთის სახელმწიფოს სხვადასხვა მხარეებიდან. კერძოდ, ამ წერილში აღნიშნული აქვს, რომ ამ მოვლენებზე ცნობები მიიღო ერზერუმიდან, ვანიდან და ყირიმიდან ჩამოსული მაცნეების საშუალებით. თუმცა როგორც წერილიდან ირკვევა, მათი ინფორმაციები ამ შემთხვევაში დაუზუსტებელი იყო და დიპლომატი ძირითადად ეყრდნობოდა იმ ამბებს, რომლებიც დედაქალაქში ვრცელდებოდა. წერილში საუბარია 1578 წლის შემოდგომის მოვლენებზე. კერძოდ, საუბარია მუსტაფა ფაშას ლაშქრობაზე კახეთისა და შირვანის მიმართულებით, როგორც მუსტაფამ დაიპყრო შირვანი, დატოვა იქ ძლიერი გარნიზონი და გამობრუნდა უკან.

„კონსტანტინოპოლი, 1578 წლის 17 ნოემბერი

თქვენო უდიდებულესობავ, ჩემი ბოლო წერილის შემდეგ აქ ჩამოვიდნენ მაცნეები ერზერუმიდან, ვანიდან და ყირიმიდან, მაგრამ ჯერ ვერ ვებულობთ, რა ამბები ჩამოიტანეს. მხოლოდ ის ვიცი, რასაც პორტასა და ქალაქში ამბობენ. კერძოდ, ის, რომ მუსტაფა-ფაშამ დაამარცხა ის ქართველები, რომლებსაც ის ალყაში ჰყავდათ მოქცეული, დიდი გარნიზონი დატოვა შირვანში და თავად ერზერუმში ბრუნდება გამოსაზამთრებლად. მაგრამ ვინაიდან მისგან დიდი ხანია არავინ გამოჩენილა, უნდა ვიფიქროთ, რომ ის სადმე კარგად დაცულ ადგილას იმყოფება, მით უმეტეს, რომ პორტაში დარწმუნებით ამბობენ, რომ ნატოლის (Natolye)<sup>2</sup> ბეგლარბეი უკვე გაემგზავრა მუსტაფა-ფაშას-გან მიღებული ბრძანების შესაბამისად. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ დღეებში აზიაზე პატარა რაზმებად გაატარეს დაახლოებით ხუთასი ან ექვსასი იანიჩარი და კიდევ სამასამდე იანიჩარია, რომლებსაც დღეს სკუტა-რიში გამგზავრება უბრძანეს. დავინახეთ ასევე, როგორ ჩაიარა კავალერიამ.

<sup>1</sup> Charrière, *Négociations de la France dans le Levant*, გვ. 762.

<sup>2</sup> ანატოლია.

ამ თვის ოთხ რიცხვში ის ხუთი გალერა დაბრუნდა, რომელმაც ტრაპიზონში წაიღო მუსტაფას ბანაკის აღჭურვილობა და აქამდე იქ იმყოფებოდა. საბერძნეთის ბეგლარბეი გუშინ კონსტანტინოპოლის მოუახლოვდა, დღეს უკვე ჩასული იქნება იქ, ვინაიდან სამი დღის წინ დატოვა ანდრინოპოლი<sup>1</sup>.

უუიეს ამ ინფორმაციებს ადასტურებს კონსტანტინოპოლიდან ესპანეთის მეფე ფელიპე II-სადმი გაგზავნილი ესპანური კორესპონდენციებიც, კერძოდ, ეს ეხება ხუან დე მარლიანის<sup>2</sup> წერილებს, რომლებიც თარიღდება 1579 წლით.<sup>3</sup> უუიესა და ხუან დე მარლიანის წერილებში ორივეგან ნახსენებია, რომ მუსტაფას მოუნია გაბრუნება შირვანიდან ერზერუმისკენ, რადგან ჩანს, რომ არ ჰქონდა მყარი პოზიციები შირვანში. მარლიანის ცნობით, მუსტაფას მიერ შირვანის დატოვების ერთ-ერთი მიზეზი პროდუქტების უკმარისობა იყო და ამ პრობლემის მოგვარებას აფერხებდნენ ქართველი მეფე-მთავრები, რომლებიც ცდილობდნენ რომ ხელი შეეშალათ ოსმალთა ჯარების მომარაგებისათვის. მან მხოლოდ გარნიზონი დატოვა ქალაქის დასაცავად, რომელსაც, მარლიანის ცნობით, ალყა შემოარტყეს სპარსელებმა, ხოლო უუიეს ცნობით – ქართველებმა. თუმცა ორივე ავტორის ცნობებიდან ჩანს, რომ ოსმალებს შირვანში მტკიცე პოზიციები არ ჰქონდათ, რაც გრძელდებოდა მთელი ამ ომის მანძილზე და კარგად აისახა შემდგომდროინდელ წერილებშიც. მსგავსი ამბავი მოკლედ გადმოცემული აქვს „მესხური მატიანის“ ავტორს, რომელიც ოსმალების სამცხეში შემოსვლის და შემდგომში კავკასიის სიღრმეში მათი წინსვლის ისტორიას მოგვითხრობს. ამ ამბებთან ერთად უუიე დეტალურად აღნერს ოსმალთა ჯარების მოძრაობას კავკასიზე, სადაც პორტას ხელი-სუფლება იყენებდა როგორც სახმელეთო გზებს ისე საზღვაო პორტებს. მაგალითად, ერთ ადგილას უუიე ახსენებს 5 გალერას, რომლებმაც ტრაპიზონში წაიღეს პროვიანტი. ამ საზღვაო ნაგვადურებს იყენებდა ჯარის მოსამარაგებლად, როგორც ერზერუმის, ისე დასავლეთ საქართველოს მიმართულებით. რაც შეეხება მარლიანის ცნობებს, 1579 წლის 9 ივლისით დათარილებულ მის წერილში საკმაოდ დაწვრილებით არის აღნე-

<sup>1</sup> Charrière, *Négociations de la France dans le Levant*, გვ. 765-768.

<sup>2</sup> ესპანელი დიპლომატი ხუან დე მარლიანი აქტიურ საქმიანობას ეწეოდა კონსტანტინეპოლში და დეტალურ ინფორმაციებს აწვდიდა ესპანეთის სამეფო კარს. მისი მოხსენიება ფრანგულ კორესპონდენციებში იმის დასტურია, რომ ფრანგული დიპლომატია ფხიზლად ადევნებდა თვალს ესპანელი აგენტების საქმიანობას, რადგან საფრანგეთი დაინტერესებული იყო, რომ ხელი შეეშალა ესპანეთ-ოსმალეთის მჭიდრო პოლიტიკური კონტაქტებისთვის.

<sup>3</sup> ტაბალუა, დოკუმენტები საქართველოს ისტორიისათვის, გვ. 312-320.

რილი ლალა მუსტაფა ფაშას ლაშქრობა საქართველოში, კერძოდ, ჩილდირის ომის მერე კავკასიის მიმართულებით.

ჩვენს მიერ განხილულმა წერილებმა კიდევ უფრო მეტი სიცხადე შეიტანა ირან-ოსმალეთის ომის გარშემო კავკასიაში მიმდინარე პროცესებში. ამ მოვლენის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ბუნებრივია, იგი გაცდა რეგიონა-ლური კონფლიქტის ჩარჩოებს და საერთო ევროპული რეზონანსი შეიძინა. ფრანგული წყაროების მოშველიებით და გაანალიზებით ჩვენ ნათლად დავინახეთ, თუ რა მნიშვნელოვანი როლი ენიჭებოდა საქართველოს ევროპული დიპლომატიის და პოლიტიკის კონტექსტში. უუიეს ცნობები მიუთითებს იმაზე, რომ საფრანგეთის სამეფო კარი სიღრმისეულად იყო დაინტერესებული კავკასიაში მიმდინარე პროცესებით. ეს ინფორმაციებიც სწორედ ამის დასტურია და ასახავს, თუ რა როლი ჰქონდა საქართველოში მიმდინარე პროცესებს ირან-ოსმალეთის დაპირისპირებაში.

### **დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:**

**ფარსადან გორგიჯანიძე, ხეც, 2140** – ფარსადან გორგიჯანიძე, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართული ისტორიული დოკუმენტების კოლექცია, 2140.

**ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი** – ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, „ქართლის ცხოვრება“, ტ. II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1959, გვ. 326-442.

**ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა – ვახუშტი ბატონიშვილი**, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, „ქართლის ცხოვრება“ ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1973.

**ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ** – ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანით და შესავლითურთ გამოსცა ვ. ფუთურიძემ, თბილისი, 1969.

**კაკაბაძე, ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია – კაკაბაძე ს., ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, „საისტორიო მოამბე“, ნ. II, 1925, გვ. 198-319.**

**მამისთვალიშვილი, სეფიანთა სახელმწიფოში მიმდინარე პოლიტიკური ბრძოლა და ქართველები** – მამისთვალიშვილი ე., სეფიანთა სახელმწიფოში მიმდინარე პოლიტიკური ბრძოლა და ქართველები (1576-1578 წწ.) (ევროპული

ნყაროების მიხედვით), „მაცნე: ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია“, 1977, N4, გვ. 107-117.

მამისთვალიშვილი, საქართველოს საგარეო პოლიტიკა – მამისთვალიშვილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია I (XV-XVI სს), თბილისი, 2009.

სვანიძე, საერთაშორისო ურთიერთობანი ახლო აღმოსავლეთში – საერთაშორისო ურთიერთობანი ახლო აღმოსავლეთში ოსმალეთ-ირანის ომების დროს და საქართველო (XVI საუკუნე), რედ. სვანიძე მ., თბილისი, 2008.

ტაბაღუა, ფერნანდესი, დოკუმენტები საქართველოს ისტორიისათვის – ტაბაღუა ი., ფერნანდესი ლ. ხ., დოკუმენტები საქართველოს ისტორიისათვის ესპანეთის არქივებსა და ბიბლიოთეკებში (XV-XVII სს.), თბილისი, 1993.

ტარდი, საქართველო-უნგრეთის ურთიერთობა XVI საუკუნეში – ტარდი ლ., საქართველო-უნგრეთის ურთიერთობა XVI საუკუნეში, თბილისი, 1980.

ჩოჩიევი, მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ურთიერთობა – ჩოჩიევი ვ., მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ურთიერთობა XVI-XVII საუკუნეებში (ირან-ოსმალეთის საზავო ხელშეკრულებების მიხედვით), სადოქტორო დისერტაცია, თბილისი, 1972.

შარაშიძე, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები – შარაშიძე ქ., სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI სს.), თბილისი, 1961.

წითლანაძე, XVI საუკუნის მეორე ნახევრის ფრანგული წყაროები საქართველოს შესახებ — წითლანაძე თ., XVI საუკუნის მეორე ნახევრის ფრანგული წყაროები საქართველოს შესახებ, ელ. ჟურნალი „სპეკალი“, 12, 2018. <http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/12/128>.

*Charrière, Négociations de la France dans le Levant* – Charrière E., *Négociations de la France dans le Levant, ou correspondances, mémoires et actes diplomatiques des ambassadeurs de France à Constantinople et des ambassadeurs... à Venise*, v. III, Raguse, Rome etc., 1850.

*Streusand, Ottomans, Safavids, and Mughals* – Streusand D. E., *Islamic Gunpowder Empires: Ottomans, Safavids, and Mughals*, Boulder, 2011.

*Brizay, Le voyage de Paris à Constantinople* – Brizay F., *Le voyage de Paris à Constantinople de l'ambassadeur de France auprès du sultan ottoman (xvi<sup>e</sup>-xviii<sup>e</sup> siècle)*, dans „Histoire, économie & société“, 2018/1 (37e année), გვ. 31-45.

*Кардини, Европа и ислам* – Кардини Ф., *Европа и ислам: История непонимания*, Санкт-Петербург, 2007.

**Andro Gogoladze, Tea Tsitlanadze,  
Murman Papashvili, Tea Karchava**

## **Reports on Georgia by Juyé, a French Diplomat in Constantinople**

### **Summary**

The present work „Reports on Georgia by Juyé, a French Diplomat in Constantinople“ provides the description and analysis of the 16<sup>th</sup> century political processes and military actions going on in the Middle East, in particular, in the Caucasus. The Iran-Ottoman wars of that period went beyond the borders of the regional conflict and gained an international resonance. Therefore, European diplomacy carefully observed the situation in the Caucasus, and in particular, in Georgia.

Despite the difficult situation, most European rulers instead of forming an anti-Ottoman coalition, in accordance with their own political economic interests, separately tried to establish diplomatic and political ties with the Ottomans.

Since the 20s of the 16<sup>th</sup> century, the French royal door was opened to the Sultan for normalizing the relationships. For the success in European policy the key factor of French diplomacy was the influence upon the ongoing Iran-Ottoman conflict in the Middle East at that particular time. The French have been particularly vigilant in monitoring developments on the Eastern Front.

The information of Juyé, the diplomat of the French Embassy in Constantinople, is an important source, not only for studying the Eastern policy of French diplomacy, but also for studying the history of foreign and domestic affairs of Georgia of that time.

The period of particular interest in the letters of Juyé is the last quarter of the 16<sup>th</sup> century. His letters also reflect the fundamental directions of Ottoman foreign policy in the second half of the 16<sup>th</sup> century. In these relations, Juyé made the analysis of the Diplomatic Activities of Other European Missions in Constantinople, which rendered invaluable service for French Court in Developing an Eastern Foreign Policy.

The information of the French diplomat gives a clear picture of the importance of the positions of the Georgian kings and princes in European Eastern politics, their foreign policy vectors. Consequently, the correspondences of Juyé are of interest as they represent the contemporary views and analysis of the epoch, which significantly complements the existing Georgian narrative sources around those events.